მომავალი

№ 3

პარასკევი, 28 აგვისტო, 1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას ამ თვის 30-ს

მთაწმინდაზე

გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. ა. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ხ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ხ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—47

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—15)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (ცირკინი ქუჩის ახლოს)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

ქ. ქუთაისში

7 ენკენისთვიდან გამოვა ყოველ-კვირეული პროგრესიული გაზეთი

ფონი

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჩვენი მწერლები.

გაზეთი წლიურათ ეღირება 3 მან., ხოლო თითო ცალი 5 კაპ.

ხელის მოწერა და წერილები მიიღება წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ“-ში, ალექსანდროვის ქ. ზ. კოკოჩაშვილის სახლში № 5 და მაღაზიის განყოფილებაში — ბულვარის პირდაპირ, გიმნაზიის ქ. 3—1

ქართველ ინტელიგენტურ ოჯახში

ვღებულობთ სრულ პანსიონში მოსწავლეებს (სასურველია პროვინციიდან). შეიძლება აგრეთვე მომზადება.

ადრესი: მალაკანის ქ. № 50, ბინა 17. (10—6)

გამოვიდა ახალი გამოცემა „კოლხიდა“-სი

„სახმო წესით“

კითხვის სწავლება ანდრია შუბლაძისა, ფასი 10 კ. და „ქართული მოძრავი ასოები“ ფ. 5 კ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან. (5—1)

ცირკი-თეატრი ნიკიტინისა

კვირას, 30 აგვისტოს გაიმართება წარმოდგენა:

«Здѣшніе проказники»

პიესა 1 მოქმედებათ.

ამერიკული პროჟექტორი,

დივერტისმენტი.

„ორი საათით გულთმისანთა ქვეყანაში“

ბილეთები იყიდება.

პასუხისმგებელი გამგე მ. ი. ბედინი.

ივ. გომელაურის შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ყდით ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფ. 4 კ. (5—4)

ივ. კარუხოვი

გადავიდა, ბელინსკის ქუჩ. № 18.

თფილისი, 28 აგვისტო

ამ ჟამათ ადგილობრივი პრესა უმთავრესათ ერობის საკითხს უტრიალებს, ერობის შემოღებაზე კამათობს. თვითეული კლასი, თვითეული წოდება ამა თუ იმ ტიპის ერობას იმუშავებს, ამა თუ იმ ტიპის ერობას მოითხოვს, რომელიც, რასაკვირველია, უფრო უკეთესათ დააკმაყოფილებს მის კლასობრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს; თვითეული ამათგანი ცდილობს დააწესოს ისეთი შედგენილობის ერობა, სადაც მას ადვილათ შეეძლება თავისი კლასობრივი და წოდებრივი ინტერესების განმტკიცება. ერთი სიტყვით, ყველას უნდა მომავალ საერობო ინსტიტუტით რაც შეიძლება მეტათ ისარგებლოს, უკეთეს იარაღათ გამოიყენოს. ჩვენებურმა ფეოდალურ და მსხვილ ბურჟუაზიულმა კლასებმა კარგათ იციან, რომ მომავალი ერობა მათი სპეციფიკური კლასობრივი ორგანო იქნება, კლასობრივი ინსტიტუტი იქნება და ამიტომაცაა, რომ ასე ფიცხლათ მუშაობენ მის ხელში ჩასაგდებათ. მათ ასეთ მისწრაფებას თანამედროვე ბიუროკრატიულმა მთავრობამ ფართო სამოქმედო ასპარეზი დაუტოვა. აძლევს ისეთ ერობას, იმგვარ საარჩევნო უფლებით, სადაც მარტო თითონ გაბატონდებიან, სადაც მარტო ფეოდალბურჟუები მოიყრიან თავს.

ჩვენ ისტორიიდან კარგათ ვიციო, რომ აბსოლიუტურ მთავრობას მთელი თავის ორგანოებით, სხვადასხვა დროს, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა როლი უთამაშია, სხვადასხვა ისტორიული ფუნქციები შეუსრულებია. იგი, როგორც აბსოლიუტური მონარქია, აღმოცენდა თანამედროვე ბურჟუაზიულ კლასების აღორძინებაზე და ძველ ფეოდალთა წოდებრივ უფლების შეზღუდვაზე; პირველათ მან გადადგა ნაბიჯი თავისუფალ საქონლის წარმოებისაკენ, დაამყარა ბურჟუაზიული უფლება-კანონები, ხელს უწყობდა მანუფაქტურულ წარმოების აღორძინებას და ბიუროკრატიულ მართველობის გაძლიერებას. თანამედროვე სახელმწიფოს ძალა-უფლების მატარებელნი, თავის მთავარ დანიშნულებას იმაში ხედავდენ, რომ საშუალო საუკუნოების პატარა,—ბევრათ თუ ცოტათ—სუვერენები (დამოუკიდებელი) მართველობები შეეზღუდა და მათ ნანგრევებზე აეშენებინა თავის მონარქიული სიმაგრეები; სამოქალაქო და სასოფლო საზოგადოებებმა, სათემო კავშირებმა, ფეოდალურმა ტერიტორიამ, აბსოლიუტურ მონარქიის წარმოშობით დაჰკარგა თავისი დამოუკიდებელი გამგეობა, იძულებითი საშუალებანი, რომლებიც მას მოეპოვებოდა: იუსტიცია, პოლიცია, გადასახადები და ჯარები ყველა ხელში მოიკრიფა, ცენტრალიზაცია უყო. ამ რიგათ, მან ხელში ჩაიგდო ყველა ის საშუალებანი, რომლებიც მას აძლიერებდენ, როგორც ბატონობის ინსტიტუტს. ყველა კულტურული მოვალეობანი, კულტურული საქმეები კი საზოგადოებას ან და კერძო დაწესებულებებს დააკისრა, მათ ანაბარა დატოვა. მაგ., სანიტარული პოლიცია, ღარიბთა მოვლა-პატრონობა, ხალხის ჯანმრთელობაზე და სხვა ამისთანებზე ზრუნვა საზოგადოებას და კერძო ინსტიტუტს მიანდო.

ამ სახითვე იმოქმედა რუსეთის აბსოლიუტურ-ბიუროკრატიულმა მთავრობამ. მან დღიდან თავის აღორძინებისა, შემუსრა ძველი პატრიომონალური მართველობანი, ფეოდალური ტერიტორიალიზმი და შექმნა ერთ ძლიერ მილიტარულ და პოლიციურ ძალათ; შემუსრა მთელს იმპერიაში ძველი წოდებრივი ინსტიტუტები და მით, მისდა უნებურათ, გზა გაუკაფა თანამედროვე ბურჟუაზიულ მართვა-გამგეობას, ბურჟუაზიულ წარმოებას. ხელში ჩაიგდო მართველობის მექანიზმი, ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც კი აძლიერებდენ მის შეუზღუდველ ძალას. სხვა კულტურული საქმეები კი, ეგრეთ წოდებულ „ზემსტვოებს“ დააკისრა, რომლების შემოღება რუსეთის შიდა გუბერნიებში კარგა ხნის საქმეა. აი, ასეთივე „ზემსტვოების“ (ერობის) შემოღება რუსეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიაშიაც განიზრახა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამიერ-კავკასიის ერობა, როგორც მოსალოდნელია, უფრო უფლება შეზღუდულ-შეკვეცილი იქნება, ვინაიდან მთავრობამ რუსეთის შიდა გუბერნიებში მაშინ შემოიღო ერობა, როცა მუშათა კლასი ასე ძრიელი არ იყო; აქ კი, შემოაქვს მაშინ, როცა მუშათა კლასი, როგორც საზოგადო ძალა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია—ძრიელია. პროლეტარიატი, როგორც ისტორიული კლასი დღეს უკვე გამოვიდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ უფლების მოსაპოვებლათ. მთავრობამ ეს კარგათ იცოდა და ამიტომ ის ანიჭებს თავის ერთგულ კლასებს წოდებრივ-ცენზიან ერობას. თავისთავად საგულისხმოა, რომ ასეთი წოდებრივ-ცენზიანი ერობა, მხოლოდ შეძლებული კლასების სოციალური დაწესებულება იქნება, შიგ მხოლოდ ესენი გაბატონდებიან, შეუძლებელი კლასები კი, ან სულ არ იქნებიან და თუ იქნებიან, სულ ძალიან მცირე. მას და მის წარმომადგენლებს ძალიან პატარა ალაგი ეკავებათ შიგ. ამისათვის მათ დღეს არ შეუძლიათ ასეთი ინტიტუტის, ამა თუ იმ ტიპის შემუშავებაში პოზიციურათ იმოქმედონ, დადებითი რამ გამოიმუშავოს, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თავისი ამომრჩევლების ინტერესები დაიცვას; იგი ვერ შეიმუშავებს ისეთ კანონ-უფლებებს, რომელიც მას გასაქანს არ მისცემს. და რომ ეს დაწესებულებები არ იყოს ღარიბ ხალხის უფლების და ძალის შემზღუდველი, ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი არ იყოს წოდებრივი და ქონებრივი საარჩევნო უფლებით აღჭურვილი, რომ იგი უფლებას აძლევდეს ხალხის უმრავლესობას შიგ შევიდეს და პოზიციურათ იმოქმედოს.

ერობაში მხოლოდ შეძლებულნი გაბატონდებიან, შეუძლებელი კლასი კი, ან სულ არ ექნება და თუ ექნება—სულ მცირე პროცენტი.

წოდებრივ-ქონებრივი საარჩევნო უფლება, ამ უკანასკნელთ საშუალებას ართმევს თავისი ამრჩევლების ინტერესები შესაფერათ დაიცვან, ამიტომ თავისთავათ ცხადია, რომ ის, ვინც კმაყოფ ილდება მთავრობის დღევანდელი საერობო პროექტით, ვინც ცდილობს ენერგიულათ წოდებრივ-ქონებრივი საარჩევნო უფლების მოპოვებას, ის ნებსით თუ უნებლიეთ გარეთ ერეკება მომავალი ერობიდან საზოგადოების ულარიბეს ნაწილს, რიცხვს საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობიდან და მით აშკარათ ამტკიცებს თავის ერთგულებას შეძლებულ კლასებისადმი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო.

სპარსეთი.

თავრიზი. გენერალ სნარსკის რაზმში გუნიბის აღების 50 წლის დღესასწაულის დროს ყარადაღიდან მშვიდობიანათ დაბრუნდა პოლკოვნიკ კარნაუხოვის რაზმი. რაზმმა თან მოიყვანა რახიმ ხანის მიერ დაბრუნებული 180 აქლემი.

გენერალ-გუბერნატორს აზრათ აქვს გაგზავნოს ყარადაღში ექსპედიცია. სათარ-ხანმა და ბაღ.....ხანმა .... ..ქვეს მონაწილეობის მიღებაზე.

თეირანი. შაჰინ-შაჰის ბანკის შემწეობით მთავრობა პარიჟში ლიონის ბანკში გზავნის შაჰის ძვირფას ნივთებს, რომ გაყიდოს და ფულები აიღოს.

თეირანი. გაცხარებული მზადებაა ყოფილ შაჰის გასამგზავრებლათ.

რუსეთის მისიის თანადასწრებით გაიხსნა ზარაფხანა და გადაეცა მთავრობას. ამ დღეებში შეუდგებიან ფულის მოჭრას.

ოსმალეთი

სტამბოლი. სავაჭრო და გზათა მინისტრათ დაინიშნა სომეხი დეპუტატი ალლაჯიანი.

სალონიკი. გუშინ მოვიდა გენერალისსიმუსი მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა. „ერთობა და პროგრესი“ ს კომიტეტის ინიციატივით შესდგა კომისია, რომელიც ფულებს აგროვებს ოსმალეთის ფლოტისთვის კრეისერის შესაძენათ. ასეთივე კომისიები შესდგა ადრიანოპოლში და ბრუსაში.

სტამბოლი. რადგან პორტამ უარი სთქვა სიკვდილით დასასჯელ შვიდი კაცის პატიებაზე, სომეხთა პატრიარქმა სამსახურს თავი დაანება. შესაძლებელია მსოფლიო პატრიარქიც გადადგეს სამსახურიდან, რადგან პორტასთან უთანხმოება მაკედონიის ეკლესიის და ბერძენთა ახალგაზდების აღზრდის საკითხის გამო, მეტათ მწვავე ხასიათს ღებულობს, საბერძნეთის გაზეთები ირწმუნებიან, თითქო პატრიარქი სამსახურს თავს არ დაანებებს და თავის რეზიდენციას მოსკოვში გადაიტანსო.

ჯევად-ფაშა, ბათალიონით და ტყვიის მტყორცნელებით დულში წავიდა ალბანელთა დასამშვიდებლათ. პრიზრენის გუბერნატორი დეპეშით დათხოვნილ იქნა, პორტას განკარგულებით.

მოსულას მიდამოებში 10,000 ქურთი აჯანყდა ახალ ირეჟიმის წინააღმდეგ.

რუსეთი.

პეტერბურგი. გუშინ პეტერბურგის სადგურზე საიმპერატორო ოთახებში მათი უდიდებულესობის გასაცილებლათ შეიკრიბენ დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლაევნა, მარია პავლოვნა, ზიუდერბენლანდის ჰერცოგინია, დიდი მთავრები—მიხაილ ალექსანდრეს ძე, ანდრეი ვლადიმირის ძე, გზათა სამინისტროს დროებით მმართველი, პეტერბურგის გუბერნატორი. დილით, ათ ნახევარ საათზე სადგურზე მოვიდენ მათი უდიდებულესობანი. გუსარის და ულანის პოლკებისგან ხელმწიფე იმპერატრიცას ყვავილების თაიგული მიართვეს. მათი უდიდებულესობანი სევასტოპოლისკენ გაემგზავრენ.

პეტერბურგი. უმაღლესათ დამტკიცებულ პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლოს დადგენილებით, საოლქო საინტენდატო სამართველო მდივნის თანაშემწე შერემეტიევსკის ჩამოერთვა აზნაურობა, ხარისხი, ორდენები და ყოველივე უფლება-უპირატესობა, გამორიცხულ იქნა სამსახურადან და მიესაჯა ერთი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

გუნიბი. გუშინ სადღესასწაულო პარაკლისის დაწყებამდე დანგრეულ აულის გუნიბის ახლო თავი მოიყარა ჯარმა. მოვიდა მთავარი სარდალი. მას ურას ძახილით შეხვდენ. მეოცდაერთე დივიზიის ბლაგოჩინმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ გაიმართა დიდებული სადილი, რომლის შემდეგ კავკასიური ცეკვა-თამაში დაიწყო. ამინდი საუცხოვო იყო.

სიზრანი. სოფელ კაჩკაროში დაიწვა პურის კალოები. ზარალი 100,000 მან. აღემატება. 300 მოსახლე პირ-წმინდათ ულუკმა პუროთ დარჩა.

სევასტოპოლი. 1905 წელს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისთვის მატროს შევჩენკოს ორი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯეს.

კიევი. დაიხურა ტყის-მცველთ სიეზდი.

ვერნი. 20 სექტემბერს გაიხსნება სოფლის მეურნეთა სიეზდი.

პერმი. 10 სექტემბრიდან 46 სოფლის სავოლოსტო სამართველოში ფოსტის განყოფილებები გაიხსნება.

სარატოვი. სარატოვის მაზრის სოფელ გარტოვკაში გაძარცვეს სახელმწიფო არაყის დუქანი. დასჭრეს ნოქარი და მისი ცოლი. წაიღეს 900 მანეთი და მიიმალენ.

გუნიბი. 24 აგვისტოს ნამესტნიკს წარუდგენ თითოეულ ოლქის დეპუტაცია, თავად გენერალ კუსმიევის წინამძღოლობით. გუბერნატორმა ვოლსკიმ ოლქის სახელით სთხოვა ნამესტნიკს გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობა.

სამარა. დღეს, მრავალ პირთაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო, რომელთაც ნიღაბი ქონდათ აფარებული, თავს დაესხა სადგურ რიასსზე ფოსტას. მოკლეს სამი დარაჯი და „სტოროჟი“, მძიმეთ დასჭრეს ათი კაცი. გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, დასხდენ ორთქლმავალზე და გაქანდენ სადგურ სიროსტონისკენ. შუა გზაზე ორთქლმავალი გააჩერეს და ჩამოხტენ. ორთქლმავალი უკანვე გაუშვეს უმემანქანოთ. წაიღეს 80,000 მანეთი. მდევრები გამოუდგენ.

გუნიბი. ჯარი ხვალ ბრუნდება საზამთრო ბანაკში. ნამესტნიკი დილის ექვს საათზე მიემგზავრება. მეორე დღეს გუნიბი გაჩირაღდნებულია.

ნოვოჩერკასკი. სადგურ პოგორელოვის ახლო დაიმტვრა საქონლის მატარებელი. მიმოსვლა ოთხი საათით შესწყდა. არავინ დაშავებულა.

პეტერბურგი. დილით გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ქალი ჩიუმინა.

სარატოვი. გაიხსნა ბეითალთა საოლქო სიეზდი. შეიკრიბა 60 წარმომადგენელი.

კიშინევი. გაიხსნა სასოფლო სამეურნეო გამოფენა.

კამენეც-პოდოლსკი. გუშინ გაიხსნა რუს ნაციონალისტთა კავშირი.

პერმი. დიდის ამბით გადაიხადეს ელაბუგის ქალაქის სასწავლებლის ასი წლის თავის დღესასწაული.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანებით კაპიტან მაყაშვილს, რომელსაც წლი ნახევრით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ქონდა გადაწყვეტილი, სასჯელი დისციპლინარული წესით სამსახურიდან დათხოვნით შეუცვალეს.

მოსკოვი. მოსკოვის სამღვდელოებამ დეკანოზი ვოსტორგოვი აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

უფა. თავად-აზნაურთა კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლებათ აირჩია თავადი კუგუშევი და ზელენცები.

ტულა. იმპერატორის მატარებელი გაჩერდა სადგურ ტულაზე. მათი უდიდებულესობა ბაქანზე გადმოვიდა. მათ უდიდებულესობას წარუდგნენ: გუბერნატორი, ტულის ეპისკოპოზი და სამხედრო და სამოქალაქო უფროსი მოხელენი. მათმა უდიდებულესობამ ინება მათთან [illegible].

რიაზანი. სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი დარაშუსოვი.

პეტერბურგი. 25 აგვისტოს [illegible] ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ მათი უდიდებულესობის კანცელარიის გამგე ვოლკოვი და [illegible] პოლკის უფროსი ლოხნოვი.

ქ ო ლ ე რ ა.

ქერჩი. ორშაბათით ავათ გახდა და მოკვდა ერთი მუშა.

კიევი. ავათ გახდა 1.

მოსკოვი. ავათ გახდა 1.

რეველი. [illegible] ავათ გახდა ერთი.

საზღვარ-გარეთ

ვენა. ქრისტიან-სოციალისტთა საპარლამენტო პარტიამ დაადგინა, რომ ითხოვოს უმაღლესი [illegible] ავსტრიის ლანდტაგის დადგენილების [illegible] გზით უზრუნველყოფის შესახებ. ჩეხების წინააღმდეგ ქუჩის დემონსტრაციის მაგიერ, პარტია მოითხოვს გააძლიერონ სლავიანთა კაპიტალის წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლა და აგრეთვე სლავიანთა მუშების ადგილას ჩაყენებულ იქნენ ნემცები.

ლონდონი. რეიტერმა ინდოეთის ნავთსადგურიდან პირის დეპეშა მიიღო, რომ სერიოზულათ ნუ შეხედავენ კუკის ცნობებს. ორმა მისმა მხლებელმა ესკიმოსებმა განაცხადეს, კუკი იმდენზე არ წავიდა წინ ჩრდილოეთისკენ, რომ ხმელეთს თვალიდან არ კარგავდა. ამას ამტკიცებენ სხვა ესკიმოსებიც.

ვენა. გროსსმეზერიჩში მივიდა იმპერატორი ფრანც-იოსები ალლუმზე დასასწრებლათ.

შევენინგენი. გაიხსნა კონფერენცია ბალტიის და თეთრი ზღვის საკითხების შესახებ.

მელილია. მელილიის ახლო მავრებსა და ესპანიის ჯარს შორის გამუდმებული ბრძოლაა. ესპანიის არტილერიამ მტერი გაფანტა.

ჟიუვიზი. ჰაერში მფრინავი ლეფევრი მირს ჩამოვარდა და მოკვდა.

ბერლინი. ორველ რაიტი გუშინ ჰაერში აფრინდა 50 მეტრის სიმაღლეზე.

კოპენჰაგენი. გუშინ კუკმა დანიის გეოგრაფიულ საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება თავის მოგზაურობის შესახებ. დაესწრნენ: მეფე, დედოფალი და მეფის ოჯახობა. კრონპრინცმა ხრისტიანმა, გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კუკს და სთხოვა მიეღო საზოგადოებისგან ოქროს მედალი. მედალის გადაცემის დროს დამსწრე საზოგადოებამ ოვაცია გაუმართა კუკს.

ლონდონი. გაზ. „ივნინგნიუს“-ში დაბეჭდილია დეპეშა სენტ-ჯონსიდან, რომლითაც პირი და მისი მომხრეები იტყობინებიან, რომ კუკი ჩრდილოეთ პოლიუსზე არ ყოფილა და მისი გამოკვლევა სიცრუეა.

ათინა. საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი გერმანიაში წავიდა.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

უკანასკნელი გადაწყვეტილება ყოფილ შახის შესახებ. 25 აგვისტოს მოხდა უკანასკნელი სხდომა სპარსეთის მთავრობის და რუსეთ-ინგლისის მისსიათა წარმომადგენლებისა შახის გაგზავნის შესახებ კითხვის გადასაწყვეტათ.

მისსიებმა მიიღეს დროებით მთავრობის და მეჯლისის მიერ წამოყენებული პირობები.

მთავრობა ვალდებულია აძლიოს შახს ყოველ წლიურათ ასი-ათასი თუმანი (სპარსული თუმანი 2 მ. 32 კაპეიკამდეა) და ღებულობს მის ვალებს. შახი ვალდებულია დააბრუნოს ყოველივე თავისი ქონება და ძვირფასი ნივთები. მაჰმედ-ალის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს ეძლევა წლიურათ 25 ათასი თუმანი, რუსეთის მისსიაში მყოფნი უნდა გავიდენ სპარსეთის საზღვრებიდან, ხოლო უკეთუ უკან დაბრუნდენ, მისსიები არ დაიცავენ მათ და მთავრობას უფლება ექნება, როგორც უნდა ისე მოეპყრას მათ.

ოსმალეთის ელჩის შეხვედრა. ქალაქიდან 14 ვერსტის მანძილზე ოსმალეთის ელჩს დიდის ამბით შეხვდენ. ელჩმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„გილოცავთ, ხალხო, გამარჯვებას. მრწამს სპარსეთის განახლება, მრწამს ირანის ხალხის ძალა, რომელმაც ბრძოლაში მოიპოვა უფლება. ჩვენ, ოსმალებმა, ასეთივე ბრძოლა გამოვცადეთ. ჩვენ— მდგომარეობით ძმები ვართ. გაუმარჯოს ახალგაზდა ოსმალეთს და ირანის მეგობრობას“!

ყაზვინის გუბერნატორის დათხოვნა. ყაზვინის გუბერნატორი სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან ის მეტის-მეტ დათმობის გზას დაადგა სახელმწიფოთა დიპლომატების წინაშე. მის ადგილას დაინიშნა ვახინ-ულ-მულკი.

მაკინის ხანის დამორჩილება. მაკინის ხანისაგან დეპეშა მიიღეს, რომ ის დამორჩილდა.

გზების დაცვა. გზების დასაცავათ ძლიერ შეიარაღებულ რაზმებს ადგენენ.

ადერბეიჯანის საქმის მოწყობა. 25 აგვისტოს თავრიზში გაგზავნეს ჯარი. გუბერნატორს 50 ათასი თუმანი გაუგზავნეს ადერბეიჯანში საქმეების მოსაწყობათ.

ოსმალეთი.

კრიტოსის ავტონომია. როგორც „რუს. სლოვ.“ კორესპონდენტს გაუგია, კრიტოსის საკითხი ახლო მომავალში გადაწყდება. კრიტოსს მიენიჭება ავტონომიაო. გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნება პრინცი, რომელიც ინგლისის მეფის ნათესავია.

ახალგაზდა ოსმალნი და რეაქციონერები. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წევრნი, როგორც აფიცრები ისე სხვები, რეაქციონერებისგან მუქარის წერილებს ღებულობენ. ორმოცდა ათმა ახალგაზდა ოსმალომ ფიცი დასდო დაიცონ ერთი მეორე. პროვინციის კომიტეტებმა დაადგინეს მოაწყონ ტერორი რეაქციონერთა წინააღმდეგ.

ტერორის დაგმობა. სალონიკში კონსტიტუციონალურმა კლუბების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სასტიკათ დაგმო სანდანსკის მოკვლის განზრახვა და საზოგადოთ ტერორი, რომელსაც ახალ რეჟიმის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ექს-სულთანი. ექიმებმა შეამოწმეს, რომ ყოფილი სულთანი კიბოთი არის ავათ. ექს-სულთანის სულიერი მდგომარეობა მეტათ არა-ნორმალურია, ის ახლოა შეშლილობასთან. მთელი ღამეები არ სძინავს. მუდამ სტამბოლისაკენ იცქირება. ის აზრი, რომ ის უძლურია და ვერას გახდება, მას მეტად სტანჯავს. ის წარა-მარა სხვა და სხვა განკარგულებას იძლევა! ხშირათ უშინაარსოს და დამსწრეებში სიცილ-სიბრალულს იწვევს. მთელი საათობით თავის თავს ელაპარაკება:

„თუ ერთი-ორი თვე გავძელი! რომ ვენდო ბოლოდ ჩემს მცველებს“ და სხვა ასეთებს მუდამ იმეორებს. ხშირათ ხმა-მაღლა წამოიძახებს: წყეულებო! წყეულიც იყავით! როცა ძლიერ დაიღლება ერთი წუთით მიწვება, თვალს მიღებს, მარა ისევ ზეზე წამოიჭრება და თავისთავის ლაპარაკს განაგრძობს. თავის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. წვერი მოუშვა, რამაც ისე შეუცვალა სახე, რომ ცნობა ძნელია.

რუსეთი

ლოკაუტი. ვარშავის კალატოზებს თავიანთმა ხაზეინებმა ლოკაუტი გამოუცხადეს. ლოკაუტმა რამდენიმე ასი მუშა დასტოვა ულუკმა-პუროთ. ლოკაუტი გამოიწვია ხაზეინების მიერ რვა საათის სამუშაო დღის გადიდებამ. საზოგადოების და პრესის დიდი ნაწილის სიმპატია მუშების მხარეზეა. ესენი აღნიშნავენ, რომ მრეწველთა კავშირმა აგრესიული ხასიათის მოთხოვნილებები წარუდგინა მუშებს და მუშები მხოლოთ უკვე მოპოვებულ უფლებებს იცავენო.

9 იანვრის კანონის შედეგი. კალომნიდან (მოსკ. გუბ.) ატყობინებენ „რ. ს.“, რომ ნოტარიუსებს მოსვენება არ აქვთ სათემო ადგილიდან გამოყოფილი მიწების შესახებ სხვა და სხვა აქტების შედგენის გამო. მთელ მაზრას მევახშენი მოედვნენ და მეტად იაფათ იგდებენ ხელში გამოყოფილ გლეხების მიწებს. ყველა ის, ვინც ყიდის მიწებს, სხვა და სხვა ქალაქებში მიემურება სამუშაოს საძებნელათ.

„სასკოლო გადასახადის საზოგადოების“ დახურვა. პოლონეთის პრესა დიდის სიმწუხარით აღნიშნავს „სასკოლო გადასახადის საზოგადოების“ დახურვას. მათი აზრით მინისტრთან შუამდგომლობა უსარგებლოა, რადგან ამ დღეებში თვით მინისტრმა გაიარა ვარშავაში და იცოდა „საზოგადოების“ დახურვა. პრესა დარწმუნებულია, რომ ამ გზით რუსეთის მთავრობას უნდა უკან წაართვას პოლონეთის სკოლებს ის უფლებები, რომელიც მათ მიეცათ 1905 წელს.

პოლიცმეისტერის გაქცევა. სარაპულის ისპრავნიკის თანამდებობიდან დათხოვნილი, ვიატკის ყოფილი პოლიცმეისტერი სალდაუ გაიქცა. მას მექრთამეობას და სხვა ათას გვარ ბოროტმოქმედებას აბრალებენ.

გაკოტრებული ფირმები. საბოლოოთ გაკოტრდა სამი მსხვილი სამანუფაქტურო ფირმა: ელისავეტგრადში, კიევში და ხარკოვში.

საერობო არჩევნები. ვლადიმირის საერობო არჩევნებზე სუდოგდაში სულ პროგრესისტები გავიდნენ.

საინტენდანტო პანამა. „ნ. რ.“ სიტყვით სენ. გარინის რევიზიას ყველაზე მეტი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია ვარშავის და კავკასიის საინტენდანტოებში. აქ ბოროტმოქმედება ეხება არა მარტო სამეურნეო ნაწილს, არამედ ადმინისტრატიულ წესებსაც. კავკასიის საინტენდატოში სამსახურში დაწინაურება-წარდგენისათვის დაწესებული ყოფილა გადაჭრილი „ტაქსა“ მაგ. 300 მ. ადგილზე დანიშვნისათვის იხდიდენ 800 მანეთს. ადგილების ასეთი ვაჭრობა უმაღლეს ხარისხამდე განვითარებულა რუსეთ-იაპონიის ომის დროს. რევიზიაში ბევრი ისეთი ბოროტ-მოქმედებანია აღნიშნული, რომ ამ მხრით კავკასიის საინტენდანტომ, რევიზიის ცნობით, ყველა საინტენდატოებს გადააჭარბა.

მღვდლების პეტიცია. უწმინდეს სინოდს ამ დღეებში გადასცეს პეტიცია, რომელზედაც 5,000 კაცამდე უწერია ხელი. პეტიციაზე ხელის მომწერნი თხოულობენ, რომ სინოდმა ნება დართოს ქვრივ მღვდლებს მეორე ცოლის შერთვის. პეტიციის ავტორები ამტკიცებენ, რომ არც ქრისტეს მოძღვრება და არც საეკლესიო კანონები სრულიადაც არ უკრძალავენ ქვრივ მღვდლებს მეორე ცოლის შერთვასო.

ლოპუხინი გაგზავნეს რკინის გზით მინუსინსკში აჩინსკამდე, აჩინსკიდან სოფელ სამოდუროვკაში ცხენით.

კრასნოიარსკში ლოპუხინის მოსვლა დიდის საიდუმლოებით იყო დაცული.

„რუსთა კავშირის წევრები“ ვიბორგის სატუსაღოში. ამ დღეებში ვიბორგის სატუსაღოში ნათესავებმა ინახულეს ლარიჩკინი, რომელსაც გერცენშტეინის

უსათაურო

—

... უცებ დაბნელდა, მე შევხედე ზეცას. რამდენიმეჯერ ელვამ თვალებში მოშანათა და ამასთან ერთათ ვიღაც გაგორდა ცაში, გაგორდა და ხარხარით გაირბინა იმ ალაგიდან, სადაც მე ვიდექი გაღმა მთის მწვერვალომდე, სადაც მიიმალა, მიყუჩდა შავს, წვიმით გაჟღენთილ ღრუბელში.

— ხო! ხო! ხო! ხო!

გული მტკივა.

— უბედური! უბედური! უბედური! იძახის ვიღაცა ჩემ გულში.

გული მტკივა.

დღეს, როცა ხვარამზეს ვუამბობდი რაღაცას, ჩემი აზრით, მეტის-მეტათ საყურადღებოსა და საინტერესოს, მე შევატყვე, რომ ის, ხვარამზე, არ მიგდებდა ყურს, რომ სხვაგან ქროდა მისი გონება, სხვაზე ფიქრობდა. იქნება არც კი ფიქრობდა, რა ვიცი. მხოლოდ იჯდა ჩემ წინ გარინდებული, ღია თვალები, მისი მშვიდობიანი და მხიარული თვალები უმოძრაოთ იცქირებოდენ ერთ წერტილში, ბაგე ნახევრათ ღია, საიდანაც მოჩანდენ მისი თოვლივით თეთრი კბილები, ცალი ხელი ედო მუხლზე, ცალი კი ძირს ქონდა დაშვებული, იჯდა ის კოხტათ, ჩვეულებრივ ლამაზათ, ჩვეულებრივათ სუფთა და მიმტაცი ჩემ წინაშე, იჯდა მაგრამ ყველაფერზე ეტყობოდა, რომ არ ესმოდა ის, რასაც ვუამბობდი.

— ხვარამზე, შენ არ გესმის, რასაც [illegible]?!

მან შემხედა.

— შენ არ გესმის...

წინეთ კი რა აღტაცებული თვალებით მიგდებდა ის ყურს, რა მიხაროდა, როცა ის მიცქეროდა.

— აჰ! მართლა, განაგრძე, როგორ არ მესმის, — მეუბნება ის, ისწორებს სახეზე გადმოვარდნილ თმის კონას და ისევ ძველ მდგომარეობას ღებულობს,.. ყოველთვის ვერ სძლევს თავის თავს ხვარამზე, ხანდახან ვერ ფარავს იმას, რაც უნდა დაფაროს არა თუ ჩემთან, არამედ თავის თავის წინაშეც...

გული მტკივა.

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც გული მტკივა. ერთ ღამეს მე გამოვიღვიძე და ჩვეულებრივ სიამოვნება ვიგრძენი, რომ ჩემთან არის ხვარამზე, სამი წელი სრულდება რაც მე და ის ერთათ ვცხოვრობთ და ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს ამ სამი წლის განმავლობაში, თითქოს ეხლა, ამ წუთს მღირსებოდეს დიდი ბედნიერება ხვარამზესთან ყოფნისა, ხვარამზეს სიყვარულისა. მე მიყვარს ის, მიყვარს, თავს მირჩევნია... გამოვიღვიძე და, როცა გავწიე ხელი, რომ ხვარამზეს სახეზე გადამესვა მე უცებ რაღაცამ მიკბინა გულში, მწვავეთ, მწვავეთ მიკბინა. მას შემდეგ მე მტკივა გული. მას შემდეგ რა გავწიე ხელი და ხვარამზეს სახეზე ვიგრძენი ცრემლი, რა მივხვდი, რომ ხვარამზეს არ ეძინა, არამედ იწვა ჩემ გვერდით და ტიროდა.

იცით თუ არა, ბატონებო, თქვენ, რას ნიშნავს როცა საყვარელი ადამიანი ტირის? იცით თუ არა! და მერმე როგორ ტირის! მე მძინავს, უდარდელათ მძინავს, ის კი, ვინც თავს მირჩევნია, ვინც მე მიყვარს, ის წევს ჩემ გვერდით და ჩუმათ ტირის. მე როდი მაღვიძებს, მე როდი მიზიარებს თავის დარდს, არამედ ჩუმათ, თავისთვის ტირის... იცით თუ არა, თქვენ ბატონებო, რას ნიშნავს ეს? შენ იცი თუ არა ჩემო ხვარამზე, ჩემო ამხანაგო, რა სასტიკათ მომეპყარი იმ ღამეს, პირველათ შენ სიცოცხლეში!.. იცი თუ ჩემო ძვირფასო!

— ხვარამზე! ხვარამზე! რა დაგემართა? შევძახე მე.

— არაფერი, არაფერი! ეს სიზმარი ვნახე ცუდი. სიზმარში ავტირებულვარ! მეუბნება ის და მეკვრის გულში. ცრემლს კი ვერ იკავებს.

— სიზმარია ეს გენაცვალე, სიზმარი!.. ქვითინებს ის.

ვერაფერი ვერ ვუთხარი მას იმ ღამეს, ვერც მეორე დღეს. შემეშინა. მხოლოდ მას შემდეგ მე მტკივა გული. უცებ, როცა არაფერს არ ველი, ვიღაც შემიძვრება გულში და დამიწყებს იქ კბენას, ჩქმეტას. გული სივდება, სივდება და მე ვიტანჯები... არა, ექიმი არ არის საჭირო, მე ვიცი რას მეტყვის ის. ის მეტყვის, რომ მე ნერვები მაქვს აშლილი არა ნორმალური ცხოვრების გამო, რომ მე ვარ დაღლილი, რომ მემჩნევა სისხლის სინაკლულე, რომ ამ ნიადაგზე ბევრი არა სასურველი რამ არის მოსალოდნელი, რომ ამიტომ მე უნდა დავისვენო, სუფთა ჰაერი ვისუნთქო, კარგათ ვიკვებო და სხვა... იმას კი ის ვერაოდეს ვერ გაიგებს, რომ გული მე მტკივა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ერთი თვის წინეთ, როცა გამოვიღვიძე ჩემი ძვირფასი ამხანაგი ხვარამზე მტირალი ვნახე... არა, ექიმი არ არის საჭირო!..

იმ ღამეს შემდეგ მე ვაკვირდები ხვარამზეს და ვრწმუნდები, რომ ეს ცვლილება კარგა ხანია მასში მოხდა. მე ვიცი როდის აქეთ. მე ვიცი ეს. მე მეგონა დაავიწყდა მას ყველაფერი. მოვტყუვდი. ეს ცვლილება მაში მოხდა მას შემდეგ, რაც მე ხვარამზეს დავატანე ხელი ქუჩაში და უკან დაბრუნება ვთხოვე, ცრემლებით ვთხოვე. დემონსტრაცია იყო. რამდენიმე დემონსტრანტი მოჰკლეს, ერთი მუშა წააქციეს ხვარამზეს წინ. მან გაშალა ხელი და ლანძღვით, მუქარით წავიდა წინ, შეეტაკა აფიცერს, რომელიც ტიტველა რევოლვერით ხელში იდგა ერთი საჟენის მანძილზე მის წინ და ევედრებოდა, დიახ ევედრებოდა მას, არ მიკარებოდა ახლოს.

— მხეცო! ჯალათო! მკვლელო! ყვიროდა ხვარამზე, — ეს რა ჩაიდინეთ, უიარაღო ხალხი დახოცეთ! ლაჩრებო, უსინდისოებო...

— მე თქვენ გთხოვთ... მე თქვენ გთხოვთ... ეძახოდა მას აფიცერი და შეუმჩნევლათ იწევდა უკან. და შევხედე თუ არა ჩემ წინ გაშხლართულ მუშას, რომელსაც პირიდან აქაფებული სისხლი მოდიოდა, დავინახე თუ არა ტიტველი რევოლვერი აფიცრის ხელში და უიარაღო ხვარამზე აფიცრისკენ მიმავალი, მე უცებ ვიგრძენი, რომ სწორეთ ამ მუშასავით შეუძლიათ მოჰკლან ხვარამზე, რომ აფიცერს შეუძლია ესროლოს მას, რომ ამ წუთში შესაძლებელია მე სამუდამოთ დავკარგო ის, ურომლისოთ არ შემიძლია ვიცოცხლო და მე დავტაცე ხვარამზეს მკლავში ხელი, ცრემლ მორეული ხმით შევევედრე მას წამოყოლოდა უკან... აი მას შემდეგ არის ცვლილება ხვარამზეში, რომელიც მე ამ ერთი თვის წინეთ შევამჩნიე. ის ხშირით არის გაბნეული, დაფიქრებული, ხშირათ ფიქრობს რაღაც თავის საკუთარ ფიქრს, რომელიც არ სურს გამიზიაროს მე და მგონი არავის... მგონი არავის...

მე კი გული მტკივა.

— შენ არ გესმის ხვარამზე რაზე გელაპარაკები! ვეუბნები მე იმას, ვიღებ ხელში მის ხელს და ვკოცნი მას.

— ხვარამზე, მითხარი რაშია საქმე? რაღაც შენ გაწუხებს... გახსოვს იმ ღამეს რომ ტიროდი? შენ მე დამიფარე შენი ცრემლების მიზეზი. ეხლა .. ეხლა მითხარი... განა აგრე უნდა—როდის უფარავდით ჩვენ ერთმანეთს რამეს?

ხვარამზე მხვევს თავისუფალ ხელს კისერში და დიდ ხანს, დიდ ხანს მიცქერის თვალებში... მისი თვალებიდან მოგორავს ცრემლი. ის ტირის. ტირის მუდამ მხიარული და სიცოცხლით სავსე ადამიანი.

— რა დაგემართა ხვარამზე? ძლივს ვეუბნები მე.

მე მზათ ვარ. მზათ ვარ მე ველოდები, რომ როცა გავარდება მეხი და გამსრესს, მე მზათ ვარ.

— არაფერი არ ვიცი.. არ ვიცი! ქვითინებს ის, — სევდა მაწევს გულზე.. არაფერი არ ვიცი.

— ხვარამზე, აღარ გიყვარვარ ხომ...

— სუ, არ თქვა ეს, ეს არ გამაგონო... სუ! შეშინებული თვალებით მეძახის ის, მიყვირის, — ეს არ თქვა, არ თქვა!..

რა საჭიროა თქმა, განა არ ჩანს ისედაც? ხვარამზემ თვითონაც არ იცის რაშია საქმე, თვითონაც არ იცის და ჩემზე ნაკლებ, შეიძლება, არც იმას ეშინია იმის სიკვდილის, რაც აუცილებლათ უნდა მოკვდეს, თუ კი ჯერ სავსებით არ მომკვდარა.

დიდ ხანს, დიდ ხანს ვზივართ მე და ხვარამზე ერთათ, ის აღარ ტირის. უდევს მხოლოდ თავი ჩემ მკერდზე და მიცქერის.

— ამის მეტათ არ გაიმეორო ის, რაც თქვი—გესმის თუ არა, არ გაიმეორო! იმეორებს ის რამდენიმეჯერ...

... ხვარამზემ გაისწორა თმა, დაიხურა საზაფხულო ქუდი და წავიდა. კორიდორიდან ისევ დაბრუნდა უკან, მოვიდა ჩემთან, გამომიწოდა ხელი და მითხრა:

— ნახვამდი, ამხანაგო!

— ნახვამდი ამხანაგო! ვაძლევ პასუხს მე და მაგრათ ვართმევ ხელს. შემდეგ ის მიდის.

მე რედაქციაში მაქვს საქმე, შემდეგ რამდენიმე მუშათა წრე მელოდება, მაგრამ არსად არ წავალ. ვწვები გულ-აღმა ტახტზე და ვიწყებ ფიქრს, მაგრამ ყველაფერი მავიწყდება, ისე ვდგევარ გარინდებული. დრო-გამოშვებით ვგრძნობ მხოლოთ, რომ გული მტკივა, რომ დიდი ტკივილები აწუხებს მას. არ ვიცი კი რათ მტკივა ის, რა აწუხებს. აღარ მაგონდება არაფერი, ისევ იკარგება შეგნება. ასეთ მდგომარეობაში უნდა იყოს დედაც, რომელსაც შვილი მოუკვდა და დიდი ხნის გლოვა ტირილის და უძილობის შემდეგ დაიძინა. ის ძილშიც სწუხს, ძილშიც იცრემლება, სული ეხუთება, მაგრამ გამოღვიძებამდე არ ახსოვს, რომ ამ დიდი მწუხარების მიზეზი მისი შვილის სიკვდილია.

მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ. ლორიჩკინის სიტყვით ფინლიანდიის სატუსაღოში მას კარგათ კვებავენ. ის უფრო კარგათ გრძნობს თავს სატუსაღოში, ვიდრე გარეთ იყო. ის მარტო ზის.

მებრძოლი რაზმის მეთაური იუსკევიჩ-კრასკოვსკი სულ განცალკევებით ზის. მას ხშირათ ნახულობს მისი მეუღლე ვერბიცკაია. ლორიჩკინს, იუსკევიჩ-კრასკოვსკის და პოლოვნევს საითაოთ უშვებენ სასეირნოთ.

ისპანია

დაცვის კომიტეტი პარიზში შესდგა ფერარის და სხვების, რომლებიც რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ, ესპანიის ადმინისტრაციის მხრით, დაცვის კომიტეტი. კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ანდფრედ ნაკე, ყოფილი სენატორი.

რეპრესიები. როგორც ბარცელონიდან იტყობინებიან, ყოველ დღე მრავალ ხალხს ასამართლებენ, ატუსაღებენ და სჯიან. ამ დღეებში მაგალითის საჩვენებლათ მთელ პოლკს აჩვენეს დახვრეტილი სალდათი, რომელიც არეულობის დროს ხალხის მხარეზე გადავიდა.

საზღვარ-გარეთ.

სუფრაჟისტკები პრემიერის წინააღმდეგ. რადგან პრემიერი მინისტრი ასკვიტი ჯიუტათ სდგას თავის გადაწყვეტილებაზე და მთავრობაც სასტიკათ ეპყრობა ქალებს, სუფრაჟისტკები დიდ მზადებას შეუდგნენ, რომ მომავალ არჩევნებში ასკვიტი გაამაგრონ.

საყოველთაო გაფიცვის ლიკვიდაცია შვეციაში. აქა-იქ მომხდარი შეთანხმება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ მუშათა ეკონომიურ დამარცხებათ უნდა ჩაითვალოს. ამ შეთანხმებით ხაზეინებს უფლება ეძლევათ ზარალი მოსთხოვონ გაფიცულებს ხელშეკრულობის დარღვევისათვის. იმათ შეუძლიათ უარი არ უთხრან შტრეიკბრეხერებს დაიჭირონ მუშების ადგილები. ისინი ვალდებულნი არ არიან აგრეთვე მისცენ ლოკაუტი. ზოგიერთგან მუშებმა გაიმარჯვეს, რადგან ერთ თვეს გაუძლეს ბრძოლას. მათი ორგანიზაციები გამაგრდნენ და რიცხვით გამრავლდნენ.

ზინაიდა ჟუჩენკოს აღსარება

როგორც კი ჟურნ. „ბილოეს“ რედაქტორათ ნამყოფმა ბურცევმა ნათელი მოფინა ზინაიდა ჟუჩენკოს მოქმედებას, ბერლინის პრესის წარმომადგენლებმა მაშინვე ინახულეს „სახელ-განთქმული“ პოლიტიკური ჯაშუში ქალი, რომელიც ამ ჟამათ სცხოვრობს შარლოტენბურგში.

ზინაიდა ჟუჩენკო (და არა იუშჩენკო, როგორც წინათ შეცდომით იუწყებოდენ) 38 წლის ქალია, გამხდარი, ქერა, ატარებს ლურჯ სათვალეებს. თავის მოღვაწეობაზე ზინაიდა ჟუჩენკომ სრულის გულახდილობითა და სიმშვიდით ილაპარაკა:

— „მე დავიბადე—დაიწყო თავისი მოთხრობა ჟუჩენკომ,—ძველი აზნაურის ოჯახში, აღვიზარდე და ვსწავლობდი სათავად-აზნაურო ინსტიტუტში და ამიტომ არავითარ მიდრეკილებას რევოლიუციისა და რევოლიუციონერებისაკენ მე არა ვგრძნობდი. იმპერატორი ალექსანდრე მე II-ს სიკვდილის დღეს, როცა, ასე ვთქვათ, დაიწყო ტერორისტული მოძრაობა რუსეთში, მე ვთვლი ერთ უუბედურეს დღეთ რუსეთისათვის.

„1894 წ. მე გავიცანი სემიაკინი, საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის უფროსი. იმან დამარწმუნა მე მთავრობის აგენტათ გავმხდარიყავი. მართალია, ამაზე დავთანხმდი, მაგრამ არა სემიაკინის რჩევით, არამედ ჩემის რწმენით. მაშინ ჯერ კიდევ არავითარი პოლიტიკური პარტია არ არსებობდა. მალე მოსკოვში გავემგზავრე, სადაც დავდიოდი სამეცნიერო კურსებზე და რომელზედაც უარყოფდენ და აბათილებდენ სოციალისტურ მოძღვრებას. აი, მაშინ გავიცანი რასპუტინის ჯგუფი. ამ ჯგუფს ემხრობოდენ უმთავრესათ, გზა-დაბნეული გიმნაზიელები და სტუდენტები. მათ განზრახვა ქონდათ მეფის მოკვლისა. მე იმდენათ დავუახლოვდი, რომ ყველას მოვეწონე. მე ძალათ არ მომიხვევია მათთვის თავზე ჩემი სამსახური, მე მხოლოთ უბრალოთ წარმოვთქვი: „ნეტავი მეც თქვენთან შემაერთა-მეთქი“. ეს ჯგუფი იყო სულელური ბრბო, მარა თვითონ რასპუტინი კი ნამდვილი რევოლიუციონერი იყო. მე მონაწილეობა მივიღე მეფის მოკვლის განზრახვის სამზადისში მით, რომ გადავთარგმნე ერთი სახელმძღვანელო ქიმიისა, რომელიც ძლიერ ესაჭიროებოდათ რევოლიუციონერებს. მოსკოვში მოელოდენ იმპერატორის მოსვლას, მაგრამ ჩვენ გაგვცეს, გაგვიგეს განზრახვა.

„არც ერთმა მათგანმა, ვინც ჩვენ დაგვატუსაღა, არ იცოდა, რომ მე მთავრობის აგენტი ვიყავი. მეც ისევე დამატუსაღეს, როგორც სხვები და თვით გამომძიებელმაც კი არა იცოდა-რა ჩემზე. თერთმეტი თვე დავყავ სატუსაღოში ცალკე კამერაში. მართალია, ერთხელ ერთმა მაღალ ხარისხოვანმა მოხელემ ალლო ბილო და მიმიხვდა, რომ მე მთავრობის მეგობარი ვიყავი და არა მტერი, მაგრამ მე განვუცხადე, რომ არავითარი შეღავათით სარგებლობა არა მსურს-მეთქი. შემდეგ მე გადმასახლეს კავკასიაში 5 წლით. აი, იქ, კავკასიაში, გავიცანი ჩემი ქმარი. ჩემს თვალში, იმაზე უკეთესი კაცი ქვეყანაზე არ მეგულებოდა, ახლა უნდა ვთქვა, რომ ჩემის მხრივ დიდი შეცდომა იყო, რომ მე, მთავრობის სამსახურში მყოფი, იმას ცოლათ გავყევი.

„ჩემმა ქმარმა, რასაკვირველია, არა იცოდა-რა ჩემი მოვალეობის შესახებ, ის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო და კავკასიაში იყო შელახულ ჯანმრთელობის აღსადგენათ. შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ დორპატში (იურიევში), ჩემმა ქმარმა პრაქტიკას მოკიდა ხელი. როცა პირველი ბავშვი დაგვებადა, ჩემმა ქმარმა თანდათან ეჭვიანობა დაიწყო, რომ მე იმას რაღასაც საშინელს ვუმალავდი. თუმცა თავი შესანიშნავათ მეჭირა, მარა მაინც სავსებით ვერ ვახერხებდი მისი ეჭვების გაფანტვას, ძლიერ ძნელი დარჩა, და ამიტომ მივატოვე ქმარი და გავემგზავრე მოსკოვში ღუბასოვთან, რომელმაც მე ლეიპციგში გამგზავნა. მე დავთანხმდი ამ მონდობილობაზე და ლეიპციგში პირნათლათ მეგზავნებოდა ჩემი ჯამაგირი, რომელსაც გათხოვებამდინაც ვიღებდი. ლეიპციგში რუსებთან არავითარი დამოკიდებულება არა მქონდა ხუთი წლის განმავლობაში და მხოლოდ მეექვსე წელს ჩემს ამ ქალაქში ყოფნისა მიხეილ გოცმა დაარსა იქ სოციალისტ-რევოლიუციონური პარტია. მე აუარებელი პარტიული რევოლიუციონური გამოცემები მეგზავნებოდა. ზუბატოვთან ყოველთვის გაცხარებული მიწერ-მოწერა მქონდა ყოველგვარ განყენებულ და პოლიტიკურ კითხვებზე. ლეიპციგიდან მე პოლიციის დავალებით ჰეიდელბერგში წაველი, სადაც მაშინ აუარებელი მოსწავლე რუსობა იყო. აქ მე თუმცა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას მივეკედლე, მაგრამ მაინც პარტიულ საქმეებს პასსიურათ ვექცეოდი და ვასრულებდი ისეთ სამუშაოებს, რომელსაც პარტიისათვის არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ქონდა. წელიწა-ნახევრის შემდეგ რუსეთში დავბრუნდი. საზღვარგარეთელ ბევრ ჩემ ამხანაგებისაგან მრავალი სარეკომენდაციო ბარათები მომივიდა მოსკოვში, სადაც მე აგრეთვე მივეკედლე სარევოლიუციო პარტიის ორგანიზაციას. ყველაფერს, რასაც მე მომანდობდენ, ვაკეთებდი მუქთათ, უსასყიდლოთ. მე დავდიოდი ოთახების მოსაძებნად იმათთვის, ვისაც ღამის გასათევი ბინა არა ქონდათ, პალტოებზე ჯიბეებს ვუკერებდი რევოლვერებისათვის და სხვ. პარტიულ საიდუმლოებათა გაგებასა და გამოჩხრეკას მაინცადამაინც არა ვცდილობდი. ხშირათ, როცა მეკითხებოდენ, —რითი ცხოვრობო, ვუპასუხებდი,— „ცოტაოდენი კაპიტალი მაქვს მეთქი“. იმავე წლის დეკემბერში მოსკოვში დიდმა ამბოხებამ იფეთქა. აქ მე შევნიშნე, როგორ გული უსკდებოდათ შიშით ამბოხების დროს ბევრ ჩემ ამხანაგებს. გულახდილათ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ და მას შემდეგ მე ჩემის დაბეზღებით ბევრი გავისტუმრე ციხე-სატუსაღოში. მევე შევატყობინე მთავრობას აგრეთვე, რომ მეორე ჯაშუში, მისი აგენტი რაპპოპორტი მას ატყუილებდა. რაპპორტი ბევრს იპარავდა, იგი ფულს იღებდა რევოლიუციონერებისაგან და პოლიციას უმალავდა ამას. მე კი ყოველთვის პატიოსნათ ვიქცეოდი. მე მოტყუილება მეჯავრებოდა.

„შემდეგ მე წაველი გერმანიაში; მალე მოვახერხე გავეცნო მრავალი რევოლიუციონერები, რომლებიც რუსეთში მოქმედებდნენ. 1906 წ. მე მოველი მოსკოვში და ისევ შევუდექი ჩემი მოღვაწეობას. მე არ ვმალავ, რომ გავეცი ფრუმკინა. მე პროვოკატორი არა ვარ. რომ მთავრობას ჩემთვის მოეთხოვა ასეთი საქმეების მოწყობა, მაშინვე უარს განვაცხადებდი სამსახურზე. ფულები, რომლებსაც ვღებულობდი აზეფისაგან მეზიზღებოდა. მე ვღებულობდი მთავრობისაგან დიდ ჯამაგირს, მაგრამ დღეს მაინც ერთი კაპეიკი არა მაქვს შენახული. რევოლიუციონერებს მე პირდაპირ ვერ შევხედავ თვალში. მათ მეგობრობას არასოდეს არ ვაფასებდი და ამიტომ არც ვცდილობდი მათთან მეგობრობის მოპოებას, პირიქით, სწორეთ ისინი ცდილობდენ ჩემს დამეგობრებას. რევოლიუციონერები იმიტომ შემძულდა, რომ დავრწმუნდი, თუ როგორ ხშირათ გადადიოდენ ისინი რევოლიუციონერობიდან მთავრობის სამსახურზე. მე დავრწმუნდი, რომ 10 რევოლიუციონერიდან, სამი მაინც დათანხმდება მთავრობის სამსახურში გადასვლაზე. 1908 წელს მე ხელ-ახლა წაველი გერმანიაში და შვეიცარიაში. ამ წლის აგვისტოს დასაწყისში ლონდონში გაიხსნა კონგრესი, რომელზედაც დიდი დავი-დარაბის შემდეგ მეც მომცეს დასწრების ნება. კონგრესმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. კონგრესის უმეტესობა თავის ბელადების გავლენის ქვეშ იყვენ. რამდენათ უფრო დიდხანს ვრჩებოდი კონგრესზე, იმდენათ უფრო ილვიძებდა ჩემში ჩემი მოღვაწეობის სიამაყე. მთელი ეს კონგრესი სრულ არა-რაობათ მეჩვენებოდა. ხშირათ თავში მაცდური აზრი მომივიდოდა: მინდოდა იქვე აშკარათ გამომეცხადებია, რომ მე ჯაშუში ვარ. მე აგრეთვე დიდი სიამოვნებით გამოვააშკარავებდი აზეფის გაზვიადებულ რევოლიუციონურ მოღვაწეობასაც.

დეკემბერში მოსკოვში შემატყობინა პარიზის რევოლიუციონურმა კომიტეტმა, რომ აზეფი საიდუმლო აგენტია. მე მაშინვე წაველი ჩემს უფროსთან და გადავეცი, რომ აზეფის ვინაობა გამომჟღავნდა ლოპუხინის მიერ, რომელმაც გაიგო, რომ აზეფი ორივე მხარეს ემსახურებოდა. მე მეშინოდა, რომ ლოპუხინი მეც გამცემდა, რადგან კარგათ იცოდა ჩემი ამბავი. ამა წლის თებერვალში აშკარათ დავრწმუნდი, რომ მეც გამცეს. ჩემმა მთავრობამ მირჩია საზღვარგარეთ გავქცეულიყავი, მაგრამ მე უარი ვთქვი, რადგან მინდოდა მთავრობის სამსახური განმეგრძო. მე არაფრის არ მეშინია. 15 წლის მოღვაწეობის შემდეგ მე შევურიგდი სიკვდილს.“

ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც სურს რომ სექტემბრიდან გაზ. „მომავალი“ ეგზავნებოდეს, ხვედრი ფულის შემოტანა უნდა დააჩქაროს.

„მომავალის“ კანტორა.

ახალი ამბები

—

✦ კვირას, 30 აგვისტოს სრულდება ორი წელი, რაც საგურამოს გზაზე, ს. წიწამურის მახლობლათ **ვერაგულათ მოჰკლეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე**. ამიტომ ხვალ საღამოს სოფ. წიწამურში წავლენ მისი პატივისმცემელნი, სადაც გადაიხდიან პანაშვიდს.

✦ **სათათბირო ერობის შესახებ**. 26 აგვისტოს თფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა თფილისის გუბერნიის საერობო სათათბირო ბიუროს კრება. კრებამ საბოლოოთ გადასწყვიტა საიდან და რამდენ რამდენი უნდა იქნას მოწვეული წარმომადგენლები მომავალ საგუბერნიო საერობო კრებაზე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, წინანდელმა კრებამ გადასწყვიტა 120 კაცის მაგიერ მოწვეულ იქნას 60. ეს დადგენილება კრებას არ შეუცვლია. გაანაწილეს ამნაირათ: თითო კაცს გლეხებიდან გზავნის ქ. გორი და ბორჩალოს მაზრა, სიღნაღი და ახალქალაქი ორ-ორს, დანარჩენი მაზრები: თფილისის, თელავის, ახალციხის, დუშეთის—თითოს, ხოლო ზაქათალის ოლქი—ორს. მემამულეებიდან მოწვეული იქნებიან: 6 თავად-აზნაურთა წინამძღოლი და 8 იმათთაგან, რომლებიც სექციებში მუშაობენ.—სულ 14 კაცი. ახალქალაქის და ახალციხის მაზრიდან და ზაქათალის ოლქიდან, რადგან ამ ადგილებში თავად-აზნაურთა წინამძღოლები არ არიან, მოწვეულ იქნებიან მემამულეებიდან თითო; ამათი გამოგზავნის უფლება ეძლევა ხსენებულ მაზრებისა და ოლქების უფროსებს. ამათ გარდა თფილისის ქალაქის თვითმართველობა გზავნის ორ კაცს ხმოსნებიდან, თფილისის ვაჭარ-მრეწველები—2, სამღვდელოება—2: 1 მართლმადიდებელი ქრისტიანები და 1 სომეხ-გრიგორიანები. ამასთანავე, თფილისი გზავნის კიდევ 4 წარმომადგენელს და თითოს ყველა სამაზრო ქალაქები და ზაქათალის ოლქი. გუბერნატორი იწვევს 20 კაცს, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ სექციების მუშაობაში.

— ამავე დღეს ა. ა. ქალანთარის თავმჯდომარეობით მოხდა მესამე მცირე სექციის კრება. კრებამ იქონია მსჯელობა ერობის არჩევნებში მონაწილეთა ცენზის შესახებ. პირველათ ილაპარაკეს გადასახადისა და ქონების ცენზზე. ხანმოკლე კამათის შემდეგ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა იმათ, ვინც იხდის გადასახადს და აქვს რაიმე ქონება. ამასთანავე, უფლება ეძლევა იმათაც, ვისაც საშუალო და დაბალი სპეციალური სასწავლებელი დაუმთავრებია.

✦ **მოსამზადებელი სასწავლებელი ოზურგეთში**. ოზურგეთის სასკოლო კომისიამ მოიწვია მასწავლებელი და დაავალა მოსამზადებელი სასწავლებლის გახსნა და მოწყობა. კომისიას სურს რეალური სასწავლებლის გახსნამდის, რაც იანვრამდის არ ხერხდება, მოამზადებიოს ის ბავშები, რომელთა შეყვანა მშობლებს სურთ რეალურ სასწავლებელში, რომ გახსნისთანავე ბავშები დაუბრკოლებლივ გადავიდენ კერძო სასწავლებლიდან რეალურში. კომისია ამ დღეებში ცნობას გაუგზავნის გურიის საზოგადოებათა მცხოვრებთ, რომ მსურველებმა დროზე ჩამოიყვანონ თავისი ბავშვები ოზურგეთში. გაიხსნება 1, 2 და 3 განყოფილება და პირველი კლასი. ნებართვის ასაღებათ შუამდგომლობა უკვე გაგზავნილია.

✦ **ჩამოხრჩობა.** კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა პოლოს დოლაქოვს, რომელსაც ბორჩალოს მაზრაში ძარცვა-გლეჯას აბრალებდენ.

✦ **ქართული წიგნების გამომცემელთა და მოვაჭრეთა სიეზდი.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ნება დართოს მას დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოიწვიოს ქართული წიგნების გამომცემელთა და მოვაჭრეთა სიეზდი.

✦ **ქართული გიმნაზია.** გუშინ დამთავრდა მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები თფილისის ქართულ გიმნაზიაში. დაბალ მოსამზადებელ კლასში მთხოვნელი იყო 112, ხოლო თავისუფალი ადგილი 80.

✦ **ქალაქის სასკოლო კომისიის კრება** მოხდება დღეს. კრება განიხილავს იმ მასწავლებელ ქალთა თხოვნებს, რომლებიც თხოულობენ მასწავლებლობის ადგილს ქალაქის სკოლებში.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 25 აგვ. მერვე საპოლ. უბანში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 5 უპასპორტო.

✦ **თფილისის პოლიცმეისტერმა** განკარგულება მოახდინა არ დაუშვან მოსწავლეები ქალთა ჭიდაობაზე.

✦ **ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ** „ჯეჯილის“ რედაქციას დღემდე მიუღია 1755 მ. 57 კაპ.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ამხ. „კოლხიდას“ მიერ გამოცემული: „სახმო წესით კითხვის სწავლება“, ანდრია შენგელაძისა. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს ორი შაური.

✦ **ჭრებალოს სამკითხველოს სასარგებლოთ** რედაქციამ მიიღო თითო მანეთი შემდეგი პირებისაგან: ნაცნობი, ი. მეგრელიშვილი, გ. ხუციძე, არტემ ხეცურიანი, ა. დავითულიანი, ქ. დვალი, ლ. ფრუიძე, ლ. გაგოშიძე, სარდიონ ბაკურაძე, სამს. ბაკურაძე, ათ-ათი შაური: კოსტა ყიფიანი, არ. ძიძიგური და ხუთი შაური ნესტორ ცხვედიანისაგან. სულ 11 მ. 25 კ.

✦ **თავის მოკვლა.** 24 აგვისტოს აგჭალაში კლდეში იპოვეს ახალგაზრდა კაცის გვამი. ის უსულოთ ეგდო მიწაზე და გულზე „სმიტისა და ვესსონის“ სისტემის რევ

შემდეგ ფანჯარასთან მივდივარ. თანდათან ბნელდება. მე ვიხედები ზეცისკენ, სახეში მანათებს ელვა და ცაში კი ხარხარებს ვიღაცა. მე ყველაფერი მაგონდება.

— ხო! ხო! ხო! ხო! ხო! და ისევ ინთება ჩემ თვალ-წინ ცეცხლი, მხიარული და უდარდელი წვიმის წვეთები გიჟური თამაშით იფშვნებიან ქვაფენილზე და ვერცხლის წინწკლების მტვერს ადენენ.

— ხო! ხო! ხო! დაჰარის ვიღაცა ზევიდან წვიმის თამაშს, მირბის მთის მწვერვალისაკენ და იქ იფშვნება.

გული მტკივა. გული მტკივა!

მე მიყვარს ხვარამზე, გესმით თუ არა, მე მიყვარს ის! მე მიყვარს ის და მასაც უნდა ვუყვარდე, ნუ თუ ეს შესაძლებელია! ვინ მართმევს მე ხვარამზეს, რომელიც მიყვარს?

ხო! ხო! ხო! ხო! ხო! ხარხარებს ვიღაცა ისევ.

გული მტკივა.

მე მიყვარს ხვარამზე... ახლა სადა ხარ შენ, ჩემო ხვარამზევ, რაზე ფიქრობ!

...მე ვფიქრობ, რომ ხვარამზე ამ სამი წლის წინეთ როდი შემყვარებია, როცა მე პირველათ გადავეყარე მას ს—ში, სადაც საზაფხულოთ მოსულნი გავეცანით ერთმანეთს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მიყვარდა მუდამ, რაც თავი მახსოვს მას შემდეგ. თუ ოდესმე ამას გარდა ვარსებობდი მე ადამიანათ, ალბათ, მაშინაც მიყვარდა მე ის, ამ ათასი თუ ასი ათასი წლის წინეთ. დიახ, მე არ ვიცი როდის არ მიყვარდა მე ის. შევხვდი მას კი მხოლოთ ამ სამი წლის წინეთ დაბა ს—ში. დავინახე თუ არა იმ წამსვე წამოიძახა ვიღაცამ: ჩემ გულში:

— ეს არის! ეს არის! ეს არის!

დიახ, სწორეთ ეს იყო ის, ვისაც დიდი ხანია ვეძებდი მე და ვის ძებნაში ვიტანჯებოდი, ურომლისოთ სიცოცხლის ნახევარი მაკლდა.

იმ საღამოს, როცა იმას გავეცანი, ბინაზე დაბრუნებულმა მე გავუზიარე ამხანაგს ჩემი ფიქრი.

— შემიყვარდება ძმავ ის და ეს სიყვარული ან ცამდე ამიყვანს, ან მიწასთან გამასწორებს. ვუთხარი მე მას.

— გასათხოვია თუ ქმრიანი! დაცინვით დამეკითხა ის, მაგრამ მე არ შევიმჩნიე დაცინვა და სერიოზულათ ვუთხარი:

— ქალიშვილია რა თქმა უნდა.

— ცუდათ არის საქმე მამა, მითხრა მან,—ქმრიანი ქალი კიდევ ჰო, ასე თუ ისე ეგების გაბრიყვდეს და ასე ვთქვათ მეორე პორციათ...

— ფუ! ვეუბნები მე და ვაფურთხებ განზე.

— დაიცა... ჰო, მეორე პორციათ აგირჩიოს იქნება, მარა რომელი გასათხოვარი აგირჩევს შენ სასიყვარულოთ, თუ ის გიჟი არ არის, ან ბრმა, ან მახინჯი.

— ფუ! ვიმეორებ მე და ისევ ვაფურთხებ.

— რას მისცემ შენ სიყვარულის მაგიერ, ფული გაქვს, მდგომარეობა გიჭერია რამე საზოგადოებაში თუ მოელი ასეთს?..

— იქნება ის არც ეძებს ასეთებს...

— ერთი შენც... რა რჯულია, სოციალ-დემოკრატკაა?

— რა ვიცი, არ მიკითხავს.

— მაშ, რითმოგწონს, რა ნახე ასეთი მასში.

— მე რა ვიცი რა ვნახე, თუ არ მიყვარს, აუცილებლათ შემიყვარდება მე ის, მაგრამ მგონია რომ არა თუ მიყვარს, არამედ მიყვარდა ყოველთვის...

— ფიზიოლოგიაა, ძმავ ეს და მეტი არაფერი! და ის კიდევ ამბობს რაღაცა ცინიკურს, რომელსაც მე მოთმინებიდან გამოვყავარ თითქმის.

— ფიზიოლოგიაც კი ხარ და არც რამე იცი, — ვეუბნები მე სიცილით, მაგრამ ნაძალადევია ჩემი სიცილი.

ხვ. მცირიშვილი.

(შემდეგი იქნება).

გოდლგერი ედო. მას თან უპოვეს პასპორტის წიგნი, რომელშიაც ის ფურცლები, სადაც სახელი და გვარი უნდა ეწეროს ამოხეული აღმოჩნდა. მის უბის წიგნში ორი წარწერა იყო: რუსული და ქართული. რუსულად ეწერა, რომ ის უკმაყოფილო იყო ცხოვრებით და ამიტომ გადაწყვიტა თავი მოეკლა. ბოლოში ხელს აწერს გ. კო—ძე. ქართულ წარწერაში ნათქვამია, რომ ის ქართველი სტუდენტია მოსკოვის უნივერსიტეტისა.

✦ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებულის შეპყრობა.** 26 აგვისტოს მეტეხე საპოდიციო ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა თფილისის გუბერნიიდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული იოსებ გეტიაშვილი.

სასამართლო

გუშინ წინ მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ტრამვაის მოსამსახურეებისა.

საქმის მდგომარეობა ასეთია: გასული წლის 18 დეკემბერს თფილისის ტრამვაის კანტორაში, ტრამვაიზე მოსამსახურეები ოსტრენკო, სკოგარევი, კაზაკოვი, საფონოვი, კრევეტოვი და ორლოვი თავს დაესხენ თავისავე ამხანაგებს კურცხავას, გორგიჯანოვს, ჩიჩველიშვილს და ძალზე სცემეს. თან ერთმა ბრალდებულთაგანმა რევოლვერიც ესროლა გორგიჯანოვს.

ბრალმდებელებს სასამართლოში იცავდა ნაფ. ვექილი კ. ჯაფარიძე, რომელმაც შემდეგნაირათ დაასურათა თავდასხმა და მისი მოტივები:—თფილისის ქალაქის თვითმართველობას და ტრამვაის ადმინისტრაციას შორის და აგრეთვე მუშებს და ტრამვაის საზოგადოებას შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება. ტრამვაის გამგეობა მუდამ წუწუნებდა, რომ საზოგადოება ზარალობსო და ამის მიზეზით აცხადებდა მუშებს, რომლებმაც ვითომდა თავისი გადაჭარბებული მოთხოვნილებებით და საქმისადმი ორგულობით საზოგადოების საქმე დაღუპვის პირამდე მიიყვანეს.

მუშებმა, რომ თავისი სიმართლე დაემტკიცებიათ, დეკემბერში უსახელო საზოგადოების გამგეობაში, ბრიუსელში თხოვნა წარადგინეს, რითაც უარს ყოფდენ ყველა იმ ბრალდებებს, რომელშიდაც ბრალს სდებდა მას ტრამვაის ადგილობრივი გამგეობა და ამტკიცებდენ, რომ ტრამვაის შეფერხების მიზეზი მუშები კი არ არიან, არამედ ის პირები, რომლებიც თვით დგანან საქმის სათავეში, რომ მუშები სრულიად არ არიან დაინტერესებული „საზოგადოების“ დაღუპვაში, რადგან მათ კარგათ იციან, რომ ეს წარმოება მათ ასაზრდოებს. თავიანთ განცხადებას მუშები მრავალი ფაქტებით ამტკიცებდენ და სთხოვდენ გამგეობას, რომ დაწვრილებით გამოეძიებია. როდესაც გაიგეს ამ მოხსენების გაგზავნა რამდენიმე, როგორც ეტყობა, დაინტერესებულმა პირებმა, გაავრცელეს მოსამსახურეთა შორის ხმები, რომ ვითომ მოხსენების გამგზავნელი მუშები შეთანხმებოდენ საზოგადოების ადმინისტრაციას, და ვითომ ისინი ცდილობდენ მუშებს მოპოებული უფლებები წაართვან და მით ხელი შეუწყონ საზოგადოების საქმეების გამოკეთებას. მიზანი ასეთი ხმებისა ის იყო, რომ მუშების ერთი ნაწილი აემხედრებიათ მეორე ნაწილის წინააღმდეგ. ამ ხმების გამო მუშების ერთი ნაწილი სასტიკათ ჰკიცხავდა მოხსენების გამგზავნელებს, რასაც შედეგათ მოჰყვა ცემა-ტყეპა. თავდასხმას და ცემა-ტყეპას სამწუხარო შედეგი არ მოჰყოლია, რადგან, როცა დაინახეს მომჩივნებმა, რომ აქ პროვოკაცია ხდებოდა, დაარწმუნეს ამხანაგები, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ.

სასამართლოში ორის გარდა, ყველა ბრალდებულნი გამოცხადდენ. მოსამართლემ წინადადება მისცა ორივე მხარეს საქმე მორიგებით გაეთავებიათ. ბ. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მის რწმუნებულებს არაფერი აქვთ შერიგების წინააღმდეგი, თუ კი ბრალდებულნი აღიარებენ, რომ მათ ვერ მოიქცენ თავისი ამხანაგების წინაშე თავაზიანათ და ამხანაგურათ. ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ისინი მართლაც ურიგოთ იქცეოდენ. ამის შემდეგ ბ. ჯაფარიძემ ითხოვა, რომ ყველა ბრალდებულების შესახებ საქმე მოესპოთ, გარდა ოსტარენკოსა, რომელსაც ბრალდება რევოლვერის სროლა.

მოსამართლემ ჯაფარიძის თხოვნა დააკმაყოფილა.

კორესპონდენცია

ს. დვალიშვილები (იმერეთი). ამ სოფელში არის გოგირდის ცხელი აბანო, რომლის წყალი არ ჩამოუვარდება ღირსებით კავკასიის სხვა წყლებს. ეს აბანო ყოვლად მოუწყობელია და მიუხედავათ იმისა, რომ წყალი სუფთა, სასიამოვნო და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ყოვლად მოუწყობელია. სადაც წყალი ამოდის, უბრალო ყავრის ფარდულით არის დახურული, ქარი თავისუფლათ დათარეშობს ფარღალალე კედლებიდან და იქ, სადაც ტანისამოსი უნდა გაიხადო არ არის დასაჯდომი, უიატაკო მიწა მუდამ ატალახებულია და ამოსვლის დროს ჩაცმა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავათ ყველა ამისა, ხალხი მაინც ბევრი ეტანება, ნამეტურ გურიიდან და ჩაყრიან მოიჯარადრენი აბანოში თევზებ ივით 20—25 კაცამდე (თავისუფლათ თავსდება აბანოში მხოლოთ 7 კაცი) და როგორც უნდათ ისე იბანონ, მათ კი თითო შაური აიღონ და სხვას არას დაგიდევენ.

ამბობენ, ეს აბანო ძრიელ უხდება ქარების ავათმყოფობას (რევმატიზმს) და საკვირველია, რათ არ აქცევენ ყურადღებას ამისთანა ძვირფას განძს. მაგრამ როგორც გადმოგცეს, როდესაც მანქანებით ეს აბანო ჩაუგდია ხელში ვიღაც ლორთქიფანიძეს, ადგილები კი აქ ეკუთვნის ხურციძეს, რის გამო დავაა იტეხილი და ქართული ანდაზის არ იყოს: „ქლეგლემები წაიკიდენ და კოზაკი შუაში გასრისესო“, სწორეთ ისე მოსდის ამ ხალხისთვის სასარგებლო განძსაც, მაგრამ ვინ არის პატრონი. ლორთქიფანიძისაგან კი იჯარით აუღიათ ალ. ხურციძეს და პარ. როხვაძეს, რომლებიც სრულებით არ ზრუნავენ აბანოს ჰიგიენურათ მოწყობაზე, ამ ვაჟბატონების მზრუნველობას შეადგენს მხოლოდ თავისი ჯიბის გასქელება და არხეინათ ფცქვნიან ხალხს. აბანოსთან არ არსებობს არავითარი ბინა გარდა ორი ქოხისა, სადაც კარგი პატრონი ღორებსაც არ შერეკავს შიგ, მაგრამ ჩვენი მოიჯარადრენი ავათმყოფებსაც კი ათავსებენ აქ. **დოლი.**

ს. ჩხარი (შორაპნის მაზრა). ს. ჩხარი მდებარეობს შორაპნის მაზრაში, დაახლოვებით ოცი ვერსის მანძილზე, სადგურ ყვირილიდან. საუცხოვო ჰავა არის, სანოვაგეც აქ შედარებით სხვა სოფლებზე იაფია; ბუნებით დაჯილდოებული ჩხარი სიბნელის მორევში ჩაფლულა ლოთობის აშიყობა კარტის თამაში და სხვა აი. ხალხის გასართობი. აქ არც სამკითხველოა, არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, სასამართლო ფოსტა და საავათმყოფო. საავათმყოფო არსებობს აქ 1908 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში მეორე ექიმი იცვლება. ჩვენი ექიმ-ფერშლები მოქეიფე აზნაურთა „დავესკა“ გამხდარან და მათთან კარტის თამაში, ქეიფობის და სხვა გასართობებს მეტ ყურადღებას აქცევენ ვიდრე საავათმყოფოს. საავათმყოფოში მსახურებდა ექიმის თანაშემწე ფერშალი ბატონი კანდელაკი, რომელიც ქეიფობის მეტს არაფერს ყურადღების არ აქცევდა, და აი ამ ვაჟბატონის მეოხებითაც საავათმყოფომ თავის დანიშნულება ვერ შეასრულა, მაგრამ საბედნიეროთ ჩვენდა, მალე მოგვაცილეს ეს ვაჟბატონი და მის ალაგს იქნა დანიშნული ამ საავათმყოფოში ფერშალი მელქისედექ მახარაძე. ამ უკანასკნელზე ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგანაც სულ ერთი თვეა რაც აქ მსახურებს.

მ. მ. განელი.

ს. საქარა. ქურდ-ბაცაცებმა აქაც იჩინეს თავი. ოც აგვისტოს საღამოს, თავს დაესხენ ფილიმონ ბარბაქაძეს. ამ დროს სახლში არავინ ყოფილა გარდა მოხუცისა და ყმაწვილის. როდესაც ყაჩაღები ეზოში შემოსულან ეს გაუგია ყმაწვილს. გაუტენია თოფი და ჩასაფრებია სახლის აივანზე. ყაჩაღები სახლში შესულან მოხუცთან. ერთი ყაჩაღი გარეთ დაუტოვებიათ დარაჯათ. ამ დროს ყმაწვილს აივნიდან უსროლია თოფი და დაუჭრია ის. თოფის ხმაზე ყაჩაღები გაიქცენ და დაჭრილი ამხანაგიც თან წაიყვანეს. წაუღიათ ფულათ ასი მანეთი სხვა და სხვა ნივთები. ამის შესახებ მოვიდენ ბოქაულები ესაიაშვილი და ნემსაძე თავის ამალით შეკრიბეს ხალხი და მოითხოვეს ყაჩაღების გაცემა. მშიერ-მწყურვალი ხალხი სამი დღე გააჩერეს ბოქაულებმა. ბოლოს მათის წინადადებით აირჩიეს კომისია ყაჩაღების აღმოსაჩენათ.

წელს აქეთ ძალიან გვალვები დაიჭირა ღვინის მოსავალი ნაკლებია, შიმშილობა მოსალოდნელია.

„მუდო“.

ს. მეტეხი (ქართლი). 21 აგვისტოს დილის 12 საათზე აქ მოვიდა თფილისის გუბერნატორი, ხალხი ეკლესიის გალავანთან შეხვდა და პურ-მარილი მიართვეს. გუბერნატორმა პურ-მარილი მიიღო და შემდეგ ჰკითხა ხალხს, ჩემთან სათხოვარი ხომ არა გაქთ რა ან ხომ არავის უჩივითო.

გლეხებმა შესჩივლეს ბ. გუბერნატორს, ადგილობრივი მღვდელი ძალიან გვაწუხებს, დიდის „სტრაჟნიკებით“ და ჯისგანაც რამდენი სურს იმდენს იღებს პურსო და სხვა. თუ რომელიმე გლეხის კარები დაკეტილი დახვდა, თითონ ამტვრევს კარებს და ისე მიაქვს პურიო და სხვა... გთხოვთ ამნაირი ძალმომრეობისგან დაგვიფაროთო. გუბერნატორმა უბრძანა ხალხს, თუ ვინმემ ან კარები დაგიმტვრიათ, ან სხვა რამ დაგიშავათ, სათანადო მთავრობას უნდა მიმართოთო. რაც შეეხება პურს, ის უნდა მისცეთ ისე, როგორც კანონი თხოულობსო.

აქ ბ. გუბერნატორმა სულ საათ ნახევარი დაჰყო, ანახულა ხვთისმშობლის ეკლესია და შემდეგ სოფელ ახალქალაქში გაემგზავრა.

ეს მე ვარ.

ს. ხაშმი (გარეთ კახეთი). 15 მარიამობისთვის ღვთისმშობლის გამო ბევრი ხალხი მწვია ჩვენს ეკლესიას სალოცავათ ხაშმიდან და სხვა და სხვა სოფლებიდანაც. დილიდანვე გვეწვია უჯარმის ურიადნიკი ბერიძე თავის სტრაჟნიკებით და მოსვლის უმალვე მოითხოვა 15 ფუთი თივა და 4—5 ფუთი ქერი რაიცა დაუყოვნებლივ შეუსრულეს პატრძეულხაშმის „სტარშინამ“ დოკოევმა და ადგილობრივმა „მამასახლისმა“ სვიმონ შიუკაშვილმა. მამასახლის-ურიადნიკი თავისი ამალით მოუყვენ ქეიფს ბევრი იმათგანი ისე გაიძღნენ ღვინის სმით, რომ ამ ქვეყნის აღარაფერი ესმოდათ. ერთმა სტრაჟნიკმა ადრევე დაიძინა, მეორემ დაიწყო აქეთ-იქით ხეტიალი და უწესობის ჩადენა, ურიადნიკმა მას იარაღი აჰყარა, თან უბრძანა დაიძინეო... ისიც მიწვა, ხოლო დანარჩენებმა მათრახით დაუწყეს ხალხს ცემა. ბოლოს ხალხი როცა დაიშალა ვიდაცას „ტროიკა“ დაეჯახა ურემს, შიგ მჯდომმა დედაკაცმა, უცირილი მორთო ხალხი აირია, გახურდა მათრახები, შეიქმნა ჩოჩქოლი, გატეხეს იამშჩიკი,“ დაფრთხა ცხენები, ურემი ურემს ეხეთქებოდა, ურიადნიკმა და სტრაჟნიკებმა მათრახები იძრეს და ხალხს დაერივნენ. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ სცემეს და დაატუსაღეს ქართ. თეატრის მსახიობი ი. იმედაშვილი-ხაშმელი, რომელიც თფ. მაზრის უფროსის ნებართვით თანახმათ 16—30 აგვისტოს წარმოდგენების გამართვას აპირებდა გარეთ-კახეთში (ხაშმში, საგარეჯოში და მარტყოფში). როცა გაიცნეს იმედაშვილმა იკითხა რათ მცემთო—ურიადნიკმა დასჭყივლა—„შენ ყლაპები გაგიპარსავს, ჩვენ თავს მოგკვეთავთო“, ხოლო დანარჩენ ხალხს, რომლებიც არწმუნებდენ, რომ იმედაშვილი აქ არაფერ შუაშია, ურიადნიკმა უთხრა: საიდუმლო მოწერილობა მაქვს მაგის დასაჭერადო, და ამ დროს ერთ ქაღალდს უჩვენა ის „საიდუმლო მოწერილობა“, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო ათხი თუ ხუთი კაცი, ხოლო იმედაშვილის გვარი-კი არ იყო... როცა მიაგონეს, რომ იმედაშვილი არა სწერია—ამაზე ურიადნიკმა დასჭყივლა „სულ ერთია, იმედაშვილი იქნება თუ ნანუაშვილი, ხომ უნდა დავიჭიროთ ვინმე, ასეა ბრძანებაო!!!. და უბრძანა ხელები შეეკრათ, რაც სრულებულ იქნა. ამ დროს მოვარდა მთავრობის მამასახლისი და გადაჰკრა მათრახები იმედაშვილს. მამასახლისი, ურიადნიკი და ზოგიერთი „სტრაჟნიკები“ ისე ძალზე მთვრალები იყვნენ, რომ ერთმანეთის აღარაფერი გაეგებოდათ. ამის შემდეგ „სტარშინა“ ურიადნიკი კარგა ხანს ჩხუბობდენ, „არა მე უნდა გავგზავნო იმედაშვილი ბოქაულთან და არა შენო“. ბოლოს „სტარშინამ“ აჯობა, რაიც ძლიერ ეწყინა „ურიადნიკმა“. ამბობდა: „მე უნდა წამეყვანა, რომ ჭკუაზე მომეყვანაო“, მაგრამ სურვილი ვერ აუსრულდა. ხელებ გაკრული იმედაშვილი სტრაჟნიკებმა ცემა-ტყეპით „პრისტავისკენ“ გაამგზავრეს. არავითარმა მუდარამ მათ წინაშე არ გასჭრა, ვინც ახლო მიახლდა გაამათრახეს. ბოლოს ორი სტრაჟნიკი ერთ ვიწრო კასაგალში დადგა და ყველა გამომვლელი მათრახებ ქვეშ გაატარეს. ი. იმედაშვილი—ხაშმელი მხოლოდ 17 აგვისტოს გაანთავისუფლა სართაჭალის ბოქაულმა, რის გამო წარმოდგენები აღარ შესდგა.

ნაცემი არიან აგრეთვე მრავალი სხვანი.

ერთი დამსწრეთაგანი.

ე. ნინოშვილის ფონდი

ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ „ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო ვასო გოგოძესაგან შეგროვილი ბაქო-მატარებლის სადგურზე 23 მ. 15 კ.

შემომწირველთა სია, თითო მანეთი: კ. ცერცვაძე, ნ. ჟიღაური, მ. სურგულაძე, გ. ბოხუა, რ. მეგრელიშვილი, მ. ჟღარკავა, ბ. დუგლაძე, ა. მასხარაშვილი, შ. რამიშვილი, ა. დუმბაძე, ი. მეპარიშვილი; ათ-ათი შაური: ი. ბოხუა, გ. ოდიშარია, ო. ქუთათელაძე, გ. ცირგილაძე, მ. აბესაძე, პ. ჩიკვაიძე, პ. ქორქაშვილი, №, ი. ღურღლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ა. მეფარიშვილისა, მ. კალანდაძე, ი. მახარაძე, ფ. ხომასურიძე, გ. კოსტავა 40 კ.; ექვს-ექვსი შაური: ა. თვალაძე, მ. გოგია, ი. სარალიძე, გ. ბესელია, ა. თავაძე, გ. კამლაძე, ი. მაჩიტაძე, გ. კუბლაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, კ. გაშაკიძე, ი. ვარძელაშვილი; თითო აბაზი: ნ. ლიპარტია, გ. მარკველაშვილი, ი. მათიაშვილი, ა. კაკაურიძე, მ. დოჩიშვილი, მ. ყანჩაველი; დ. ნუცუბიძე 15 კ.; ა. გოგებაშვილი 10 კ.

ტიტიკო თალაკვაძისაგან დ. ხაგოშარში შეგროვილი 11 მ. 50 კ. სია შემომწირველთა: თითო მანეთი: ალექსანდრე განდეგილი, გრიგოლ გუგუნავა; ათ-ათი შაური: გრიგოლ ახალაძე, რაჟდენ გადაჩკორია, ვასილ თავართქილაძე, ივანე თავართქილაძე, სილევან თალაკვაძე, დათა გოგიბერიძე, გაბრიან გოგობერიძე, ტიტიკო თალაკვაძე; ორ-ორი აბაზი: ილია ბესოს ძე ახალაძე, სიმონ ბოლქვაძე, ბიქტორ მეგრელიძე; ალექსი ნიკოლაიშვილი 35 მ.; გიტო ნინიძე 30 კ.; სიმონ ა. თალაკვაძე 25 კ.; თითო აბაზი: სევასტი ასათიანი, ანტიფა ებგენიძე, მალაქია გოგვაძე, მღ. დეონტი კეკელიძე, კალენიკე გადაჩკორია, ირაკლი მელუა, თომა დ. ნინიძე, მიხეილ მელუა, გაბრიელ ოსიპოვი, არსენ გადაჩკორია, ივანე სიხარულიძე, მოსე ნიკოლაიშვილი, ვლადიმერ ჩხაიძე, პეტრე სამსონია; გიორგი ქავთარაძე 15 კ.; ორ-ორი შაური: ვარლამ თალაკვაძე, მელქისე ნიკოლაიშვილი, სარდიონ ასათიანი. გრიგოლ ჟღენტი; გერასიმე ანდღულაძე 5 კ.

„ჩვენი აზრის“ რედაქციამ გადმოგვცა ფოთიდან და სამტრედიიდან მიღებული და გამოცხადებული № 51 და „ჩანგის“ № 8— სულ 9 მ. 57 კ.

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო კიდევ შეკრებილი ფული ოლგა თედეშვილის მიერ 7 მ. 95 კ. შემომწირველთა სია:

ილიკო გიორგობიანი 20 კ.; მარუსია ბარაშვილი 20 კ.: ნიკა მჭედლოვი 20 კ.; განო ზანდუკელი 20 კ.; გიორგი ფუხაშვილი 20 კ.; ნინა ოქროვი 20 კ.; კოლა კობახიძე 50 კ.; ბარბარე მაისურაძე 30 კ.; ლიზა ელბაქიძე 20 კ.; ანნა კობახიძე 20 კ.; სოფიო ბუთხუზოვისა 20 კ.; ანნა გოგავა 50 კ.; ნატალია პაპიაშვილი 50 კ.; ოლგა ოტბერი 30 კ.; გიორგი ადნიაშვილი 50 კ.; ლუკა ბაქრაძე 50 კ.; ნიკოლაი კურპიტაშვილი 40 კ.; ზაქარია ხატიშვილი 30 კ.; № 50 კ.; იონა კოპეშავაძე 30 კ.; გიორგი ნაცვლიშვილი 20 კ.; იასონისაგან 20 კ.; პუზგინოვისაგან 20 კ.; არჩილისაგან 5 კ.; ბაბე 5 კ.; შაქრო 5 კ.; თამარა გოლგოვა 30 კ.; პეტრე ზაქარიას ძე კოპაძე 15 კ.; ლოლო 5 კ.; მაღალაშვილი 30 კ.

„ჩანგის“ რედაქციიდან მივიღეთ 89 მ. 64 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო 14, 15, 18, 25, 27, 28, 35 და 39 ნომრებში.

შედგა 141 მან. 81 კაპ. დღემდე იყო 1613 მ. 76 კ. ახლა სულ არის 1755 მ. 57 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.**

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

თფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. № 78|79. ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77ა, ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

თფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო № 72|73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევს 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76ა, ნაშუადღევს 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.**

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის **წინდაწინ.**

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა, ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. 1 სექტემბრიდან ადრესი გამოიცვლება. (18—8)

ი ყ ი დ ე ბ ა

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხ კუთხი საჟ. 2—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით, 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე. (5—1)

მ ო წ ო დ ე ბ ა

უწმიდესმა სინოდმა ამა წლის 5—6 მაისის დადგენილებით ნება დართო იმპერიის ყველა ეკლესიებში იოანნე ნათლის მცემლის თავის მოკვეთის დღეს, 29 აგვისტოს, როგორც ცისკრის, ისე წირვის დროს და აგრეთვე წინა ღამით მოაწყონ ფულების შეგროვება თევშის ჩამოტარებით „სამსახურის დროს თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა შვილების დამხმარე საზოგადოების“ სასარგებლოთ.

ამ სახით შეკრებილი ფული გადაეცემა სამხედრო სამსახურში მყოფ უმწეოთ დარჩენილთა და აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შვილებს. ამათ რიცხვში შედიან იმ მუშების შვილები, რომელთა მამები დაიღუპენ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ან იმ დროს, როცა სხვებს ეხმარებოდენ ან-და დაიღუპენ შემთხვევით არეულობის, ძარცვა-გლეჯის და საზოგადოთ მღელვარების დროს.

გვაქვს სახეში, რომ „საზოგადოების“ მიზანია უმწეოთ დარჩენილ ობლებს საშუალება მისცეს ისეთივე პატიოსანი მუშაკები გახდენ სამშობლოს საკეთილდღეოთ, როგორიც მათი მამები იყვენ, რის განსახორციელებლათ დიდი თანხაა საჭირო, რისთვისაც ერთ-ერთ საშუალებას ასეთი თანხის გასაძლიერებლათ შეადგენს ეკლესიებში თევშით ფულის შეკრება, ამიტომ მივმართავ ყველა მლოცველებს ამ დღეს შემდეგი სიტყვებით: **ნუ შესუსტდება თქვენი ხელი კეთილი საქმის გაკეთებაზე.**

(2—2) თფილისის გუბერნატორი **ლოზინსკი.**